ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №978707

ნომერი: AR1174941

თარიღი : 04.11.2013

გაცემის თარიღი : 07.11.2013

გაცნობის თარიღი : 08.11.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , I და III მ/რ შორის (ნაკვ.1/32) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან სეფერთელაძე პ/ნ 01030022760
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 52/54

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2013 წლის 04 ნოემბრის #AR1174941 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, I და III მ/რ–ებს შორის არსებულ #01.10.06.001.128 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, გაცნობებთ:

თქვენი მიწის ნაკვეთი და მიმდებარე ტერიტორია დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს გაუნაშენიანებელ სივრცეს, რომელსაც არ გააჩნია ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურა. ტერიტორიის განვითარება უნდა მოხდეს ერთიანი მოწესრიგებული დაგეგმარების შესაბამისად. გამომდინარე აქედან ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოდგენილი ტერიტორიის სამშენებლო განვითარება მიზანშეწონილია განხორციელდეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან ისევ გაერთიანების ან სამშენებლო განვითარების ერთობლივი კონცეფციის წარმოდგენის შემთხვევაში. დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ტერიტორია გამოყოფილია მიწის ნაკვეთიდან საკადასტრო კოდით #01.10.06.001.132, რომელზეც სამსახურის მიერ მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის ასაშენებლად დადგენილია #994 16.10.2008 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და #01/1937 17.12.2009 ბრძანებით შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი. იმ შემთხვევაში თუ მოხდება მიწის ნაკვეთების ხელახალი გერთიანება შესაძლებელია ტერიტორია განვითარდეს შეთანხმებული დოკუმენტაციის შესაბამისად, ხოლო ორივე მიწის ნაკვეთის ერთობლივი სამშენებლო კონცეფციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახურის მიერ გაცემული ადმინისტრაციული აქტის მფლობელმა უნდა მოითხოვოს შეთანხმებული დოკუმენტაციის გაუქმება. მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ სამსახური თავიდან განიხილავს აღნიშნულ საკითხს.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გასაცემად გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. თქვენი განცხადება შემოსულია 2012 წლის 4 ნოემბერს თანდართული დოკუმენტაციის განხილვაზე სამსახურმა გამოიყენა 4 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 15 სამუშაო დღიანი ვადა გაერთიანებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო გეგმის წარმოსადგენად. სამსახურს დარჩენილი აქვს 8 სამუშაო დღე; თუ განმცხადებლის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია განცხადება დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

შენიშვნა: მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა ატვირთოთ დამატებითი დოკუმენტების ველში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.